



ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 1078
05/06/2018

ქალაქი ბათუმი

1078-05-4-201806051735



არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი - ხელვაჩაურის სასპორტო სკოლისათვის ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ინვენტარის თხოვების ფორმით გადაცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონი ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 122-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტისა და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ქონების მართვის განყოფილების უფროსის ანა ბაჟაშვილის 2018 წლის 04 ივნისის №1563-05 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე ვბრძანებ:

1. არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს - ხელვაჩაურის სასპორტო სკოლას თხოვების ფორმით გადაეცეს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ინვენტარი თანდართული დანართის შესაბამისად, რომლის საერთო ღირებულება შეადგენს 15040 (თხუთმეტიათასორმოცი) ლარს.

2. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის იურიდიული სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილებას (ლ. ბერიძე) მიენიჭოს უფლებამოსილება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად გააფორმოს ა(ა)იპ - ხელვაჩაურის სასპორტო სკოლასთან თხოვების ხელშეკრულება, ხოლო მერიის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ქონების მართვის განყოფილებამ (ა. ბაჟაშვილი) უზრუნველყოს მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება.

3. დაევალოს მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურს (მ. გვიანიძე) აღნიშნული ქონების მიმართ საბუღალტრო დოკუმენტაციის წარმოება.

4. ბრძანება შესაძლებელია გასაჩივრდეს ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი N358) დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ჯუმბერ ვარდმანიძე

მუნიციპალიტეტის მერი
ხელმძღვანელობა